

განმარტებითი შენიშვნები
 ფინანსურ ანგარიშგება შპს „როიალის“
 (სნ 400151919) 2019 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით.

შპს „როიალი“, (საიდენტიფიკაციო N400151919)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

მიმდინარე აქტივები	31.12.2019	01.01.2019	01.01.2018
ფულადი სახსრები	2441	155 203	2 302
საეკავრო და სხვა მოთხოვნები	525826	329 628	231 698
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	57695	9 536	8 524
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	517961	821 450	624 033
წინასწარ გაწეული ხარჯები (მოგების გადასახადი)	-	-	-
გაცემული სესხები	-	-	-
საგადასახადო აქტივი	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივი	3207	2 889	2 661
სულ მიმდინარე აქტივები	1107130	1318706	869218

გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
ძირითადი საშუალებები	64362	75 706	68 254
არამატერიალური აქტივები	758	1 294	1 294
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივი	-	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	65120	77000	69548

სულ აქტივები	1172250	1395706	938766
---------------------	----------------	----------------	---------------

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	83366	72 913	73 927
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	39499	28 913	26 623
მიღებული ავანსები	-	-	-
შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებული ვალდებულებები	-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	2 167	2 167
სულ მიმდინარე ვალდებულება	122865	103993	102717

გრძელვადიანი ვალდებულება			
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	20249	157 000	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულება	20249	157000	0
სულ ვალდებულება	143114	260993	102717

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	678410	928 410	742 910
გაუნაწილებელი მოგება	350726	206 303	93 139
სხვა რეზერვები			
სულ კაპიტალი	1029136	1134713	836049
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	1172250	1395706	938766

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 20 სექტემბერს:

შპს „როიალის“, (საიდენტიფიკაციო 400151919)

დირექტორი

/ ვალერი სოფრომაძე/

შპს „როიალი“, (საიდენტიფიკაციო N400151919)

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	2 828 706	2 322 997
არასაოპერაციო შემოსავლები		
სულ შემოსავალი	2 828 706	2 322 997

გამოყენებული ნედლეული და მასალები	- 2 524 474	- 2 071 470
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები	- 19 585	- 22 150
იჯარის ხარჯი	- 91 649	- 79 429
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	- 22 733	- 18 501
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	- 16 085	- 13 533
ფინანსური დანახარჯები	- 3 116	- 64
არასაოპერაციო ხარჯები	- 6 236	- 4 686
მიმდინარე პერიოდის ზარალი	144 828	113 164
მოგების გადასახადი		
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	144 828	113 164

	-	-
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 134 713	836 049
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	185 500
დივიდენდის განაწილება მესაკუთრეზე	- 250 000	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	- 405	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	1 029 136	1 134 713

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 20 სექტემბერს:

შპს „როიალის“, (საიდენტიფიკაციო 400151919)

დირექტორი

/ გალერი სოფრომაძე/

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „როიალი“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2015 წლის 31 აგვისტოს, რეგისტრაციის №B 16087428.

შპს „როიალი“ წარმოადგენს ერთი პირის საწარმოს, რომლის 100% წილის მფლობელია დავით სოფრომაძე.

1.2. საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ორთოპედიული და სხვა სახის ლეიბების წარმოება;
- რბილი ავეჯის წარმოება;
- ლამინატის ავეჯის წარმოება;
- საწოლების კარკასისა და სხვა ატრიბუტების წარმოება.
- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

1.3. საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება;

1.4. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

- საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები;

1.5. საწარმოს სტრუქტურა:

- საწარმოს გააჩნია ლეიბების, რბილი ავეჯისა და ლითონების კარკასების საწარმოო უბნები;
- საფირმო მაღაზია.

2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:

2.1. კომპანიის პროდუქცია ძირითადად იყიდება ქ. თბილისში, საფირმო მაღაზიის მეშვეობით;

2.2. საწარმო საქართველოს კომპანიებისაგან ასევე იღებს შეკვეთებს ზემოთ აღნიშნულ პროდუქციაზე;

ლეიბებისა და რბილი ავეჯის წარმოებისა და რეალიზაციის ბიზნესის ბაზარზე დიდი კონკურენციაა, თუმცა, პროდუქციის მაღალი ხარისხისა და წარმოებიაქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე საწარმო წარმატებით უმკლავდება კონკურენციას.

2.3. შპს „როიალი“ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და პარტნიორის მოკლევადიანი ფინანსური მხარდაჭერით ინარჩუნებს სტაბილურობას და მას შეუძლია საკუთარი სახსრებით გააგრძელოს ფუნქციონირება, რაც დასტურდება საწარმოო მაჩვენებლებით. 2015 -2016 წლები ფაქტობრივად საწარმოს ფორმირების წელი იყო. ამიტომ საწარმო-ეკონომიკური მაჩვენებლების შესადრის ბაზად მივიჩნიეთ 2017 წელი, რომლის მიმართ 2018 და 2019 წლების მონაცემების შედარებითი მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში:

ფუნქციონერებადობის ძირითადი მაჩვენებლები 2017-2019 წლებში

დასახელება	2017 წელი	2018 წელი		თანხა ლარში 2019 წელი	
		მონაცემ	ზრდა	მონაცემ	ზრდა
წარმოების მოცულობა, მათ შორის	1 360 556	1 985 149	46%	2 516 888	85%
– ლეიბების წარმოება	937 305	1 320 753	40,9%	1 817 731	93,9%
– რბილი ავეჯის წარმოება	382 040	581 512	52,2%	576 773	51%
– კარკასების წარმოება	37 563	82 884	120,7%	116 071	209%
– სხვა ავეჯის წარმოება	3 648	-	-	6 313	73%
ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან	1 433 660	2 325 980	62,2%	2 828 706	97,3%
წმინდა მოგება	89 167	113 164	27%	144 827	62,4%

მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია სარეკლამო პროცესის გააქტიურება და მარკეტინგული საქმიანობის არსებითი გაუმჯობესება.

კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, კომპანიის განვითარება და ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება.

3. მნიშვნელოვანი მოვლენები:

3.1. ტექნიკური პოტენციალის გაზრდის მიზნით, 2018 წელს პარტნიორმა განახორციელა განახორციელა დამატებითი შენატანი საწარმოს კაპიტალში, რამაც გაზარდა საბრუნავი საშუალებები. საწარმო აღიჭურვა აუცილებელი მოწყობილობებით.

3.2. მე-4 კატეგორიის საწარმოდან მე-3 კატეგორიაში გადასვლის გამო შემუშავებული იქნა სააღრიცხვო პოლიტიკა მსს ფასს-ის შესაბამისად.

3.3. საგადასახადო ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ფინანსური ინფორმაციის ურთიერთშესაბამისობის კონტროლის გაადვილების მიზნით ბუღალტრულ აღრიცხვაში საგადასახადო ვალდებულებების სუბანგარიშების სააღრიცხვო ბარათების პარალელურად ნაერთი საგადასახადო-სააღრიცხვო ბარათის შემოღებამ გააუმჯობესა საგადასახადო ვალდებულებების შიდა კონტროლი.

3.4. მიუხედავად მე-4 კატეგორიის საწარმოებისათვის გათვალისწინებული შეღავათებისა საწარმომ ნებაყოფლობით წარადგინა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება, რამაც ფაქტობრივად ერთგვარი ტრენინგის როლი შეასრულა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

4.1. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

4.2. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება საგადასახადო 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.

4.3. საწარმოს წინა საანგარიშგებო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საწარმო 2017 წელს იყენებდა მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტს, 2018 წელს დაიწყო მოსამზადებელი პერიოდი მსს ფასს-ის დანერგვისათვის და 2019 წლის 1 იანვრიდან საწარმო გადავიდა მსს ფასს-ის გამოყენებაზე.

4.4. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი შეეხო მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებების კორექტირებას, რაც დაექვემდებარა საკუთარი კაპიტალის კატეგორიაში აღიარებას.

4.5. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძრისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის – ფინანსური ინფორმაცია.

4.6. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

4.7. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მე-3 კატეგორიის საწარმოებისათვის დადგენილ ფინანსური ანგარიშგების პაკეტს. კერძოდ:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს.

5. განმარტებითი შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

5.1. ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია დადგენილი ფორმით.

საწარმოს ბალანსს 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის აქვს შემდეგი სახე:

	31.12.2019 წ	31.12.2018 წ	01.01.2018 წ
ფინანსური მდგომარეობა			
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	2 441	155 203	2 302
სავაჭრო მოთხოვნები	525 826	329 628	231 698
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოს.	57 695	9 536	8 524
მარაგები	517 961	821 450	624 034
- მზა პროდუქცია	-	-	-
- სხვა	410 499	779 503	519 904
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	3 207	2 889	2 661
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით	-	-	-
- გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	758	1 294	1 294
ძირითადი საშუალებები	64 362	75 706	68 254
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	1 172 250	1 395 706	938 766

პასივები

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	83 366	72 914	73 928
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	2 167	2 167
საგადასახადო ვალდებულებები	39 499	28 913	26 623
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	20 249	157 000	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	143 114	260 993	102 717
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი,')	678 410	928 410	742 910
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	350 726	206 303	93 139
გადაფასების რეზერვი	-	-	-
სხვა რეზერვები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1 029 136	1 134 713	836 049
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 172 250	1 395 706	938 766

5.2. ფულადი სახსრები:

საწარმოს სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;

5.3. შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

5.4. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი:

საწარმოს საანგარიშგებო წელს წინასწარ (ავანსად) გადარიცხული აქვს მხოლოდ საიჯარო გადასახდელების თანხა. ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისში 8065.27 ლარს, ხოლო წლის დასასრულს გარდამავალი ნაშთი 9460 ლარს შეადგენდა.

5.5. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში თვითღირებულების მოდელით აისახება, თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ინვესტიციებთან და წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ოპერაციები არ განუხორციელებია.

5.6. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს აქტივებში სავაჭრო მოთხოვნების დინამიკა საანგარიშის წინა წლებთან შედარებით შემდეგნაირად აისახა:

სავაჭრო მოთხოვნები

დასახელება	31.12.2019 ₾	31.12.2018 ₾	01.01.2018 ₾
თი ბი სი ბანკის მიმართ (განვადება)	31,12	64,44	70,47
საქართველოს ბანკის მიმართ (განვადება)	0,00	0,00	0,00
მოთხ. მიწოდებიდან და მომსახურ.	525794,42	329563,41	231627,41
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	0,00	0,00	0,00
ჯამი	525825,54	329627,85	231697,88

5.7. დარიცხულ მოთხოვნები და გადახდილი აგანსები ფინანსურ ანგარიშგებაში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

	31.12.2019 ₾	31.12.2018 ₾	01.01.2018 ₾
მომწოდებლ. გადახდილი აგანსი	0,00	0,00	0,00
მომწოდებლებზე წინასწარი გადახდები	4584,31	1061,61	1375,01
წინასწარ გადახდილი იჯარის ქირა	6635,69	0,00	0,00
აგანსად გადახდილი იჯარა	9460,00	8065,27	6605,32
წინასწარ გადახდილი მომსახურ.	0,00	0,00	0,00
დარიცხული მოთხოვნები	0,00	0,00	0,00
გადახდილი (ჩასათვლელი) დღე	0,00	307,93	307,83
საგადასახადო აქტივი	26915,91	0,00	0,00
სხვა ფასიანი ქაღალდები	0,00	0,00	0,00
საპრეტენზიო თანხები	0,00	0,00	0,00
მოთხოვნები ა/ვალდებული პირებ.	10098,89	101,19	235,45
ჯამი	57694,80	9536,00	8523,61

5.8. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში საინვესტიციო ქონება არ გააჩნდა

5.9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით. დანიშნულების მიხედვით დაჯგუფებული მარაგები მოცემულია ცხრილში:

დასახელება	31.12.2019 ₾	31.12.2018 ₾	01.01.2018 ₾
მზა პროდუქცია			
მზა პროდუქცია მაღაზიებში	9978,24	6749,31	0,00
მზა პროდუქცია საწყობში (სამაქროში)	41996,90	35197,45	104129,52
დაუმთავრებელი წარმოება და ნ/ფაბრიკატები	55486,95	0,00	0,00
ჯამი	107462,09	41946,76	104129,52
სხვა მარაგები			
საქონელი	1956,92	1956,92	2198,61
ნედლეული და მასალები ღებების	282271,19	604661,01	383566,40
ნედლეული და მასალები სამეულების	86930,23	121884,50	97500,65
ნედლეული და მასალები კარკასების	35497,91	50888,32	36623,29
ნედლეული და მასალები ლამინატის ავეჯის	2893,84	0,00	0,00
სხვა სასაქონლო-მატერ. მარაგები	949,15	112,73	15,34
ჯამი	410499,24	779503,48	519904,29

5.10. დაუშთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის მიხედვით ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად.

5.11. მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მოდელით;

5.12. საანგარიშგებო პერიოდში სტიქიის შედეგად დაიბორა საწარმოო უბანი, რის შედეგადაც დაზიანდა მასალები. გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი, სადაზღვევო კომპენსაციის გამოკლებით, მსს ფასს-ის შესაბამისად აისახა გაუფასურების ხარჯებში და მიკუთვნებულია საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე.

5.13. საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია.

5.14. ძირითადი საშუალებები:

საწარმო იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით;

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი აქტივების გაუფასურების ნიშნები არ გამოვლენილა და ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების ღირებულება მსს ფასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად შეტანილია პირვანდელი ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით:

დასახელება	31.12.2019 ₾	31.12.2018 ₾	01.01.2018 ₾
მანქანა-მოწყობილობები	94298,52	88387,50	71167,05
მანქანა-მოწყობილობების ცვეთა	(45389,18)	(27146,79)	(10352,34)
ოფისის აღჭურვილობა	8292,19	2945,58	2716,77
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	(2517,23)	(858,79)	(277,33)
სატრანსპორტო საშუალებები	13503,39	13503,39	5000,00
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	(3825,96)	(1125,28)	0,00
ჯამი	64361,73	75705,61	68254,15

5.15. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

5.16. არამატერიალური აქტივები:

საწარმოს გააჩნია სპეციალური საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ორის-ბუღალტერია“, რაც ასახულია არამატერიალური აქტივების შემადგენლობაში.

5.17. გადავადებული საგადასახადო აქტივი:

მსს ფასს-ის 29-ე განყოფილების თანახმად საგადასახადო მოგებასა და ფინანსურ მოგებას შორის დროებითი სხვაობების შედეგად გადასახდელი და გაანგარიშებული გადასახადებს შორის სხვაობა აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

საანგარიშგებო პერიოდში გადავადებული საგადასახადო აქტივის ნაშთი საწარმოს არ გააჩნდა.

5.18. სავაჭრო ვალდებულებები:

საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. შესაბამისად, სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია პირვანდელი ღირებულებით.

საგაჭრო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2019 ₾	31.12.2018 ₾	01.01.2018 ₾
ვალდებულებები მოწოდებიდან	75629,16	65648,04	67060,17
ვალდებულებები მყიდველთა მიმართ	270,24	100,00	100,00
ვალდებულებები მიკრომეწარმეების მიმართ	300,00	300,00	300,00
სხვა საგაჭრო ვალდებულებები	7166,89	6865,54	6467,78
ჯამი	83366,29	72913,58	73927,95

5.19. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

5.19.1. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

საწარმოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები აღრიცხული აქვს განცალკევებულად, საგადასახადო ანგარიშგებებაში დეკლარირებული გადასახადის ოდენობით. ამასთან, გადასახადის სახეობების მიხედვით საგადასახადო ვალდებულებები დარიცხულია სააღრიცხვო საანგარიშო პერიოდის მიხედვით, ხოლო ერთიანი საგადასახადო ვალდებულების ანგარიშზე (საბალანსო ანგარიში 3301) გადაიტანება საგადასახადო ანგარიშგების მიხედვით.

საგადასადო ვალდებულებები

	31.12.2019 ₾	31.12.2018 ₾	01.01.2018 ₾
დავალიანება ერთიანი სახაზინო კოდიტ	35719,50	13922,39	5412,91
მოგების გადასახადი	0,00	0,00	0,00
საშემოსავლო გადასახადი	2214,51	1740,00	2375,00
გადასახდელი დღგ	0,00	13064,22	18496,35
აღსადგენი ჩათვლილი ავანსის დღგ	1012,22	0,00	0,00
გადასახდელი ქონების გადასახადი	192,65	186,28	338,54
ვალდებულება საპენსიო ფონდის მიმართ	359,91	0,00	0,00

5.19.2. გადასახდელი ხელფასები

საწარმო, მსს ფასს-ის 28-ე განყოფილების მოთხოვნების სრული დაცვით აღრიცხავს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის შრომის ანაზღაურება ანაზღაურებულია სრულად და დავალიანება არ გააჩნდა. აღნიშნული ვალდებულება არ მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, ვინაიდან გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი ასახულია შესაბამის მუხლში განცალკევებულად.

5.20. სხვა ფინანსური ვალდებულებები:

5.20.1. საწარმოს 2018-2019 წლებში თი ბი სი ბანკთან გაფორმებული ჰქონდა

ხელშეკრულება ოვრდრაფტით მომსახურებაზე. 2019 წლის ბოლოსათვის დავალიანება 14449 ლარს შეადგენდა.

5.20.2. პარტნიორის გადაწყვეტილებით 2018-2019 წლებში საბრუნავი სახსრების დროებითი შევსების მიზნით საწარმოს ეძლეოდა მოკლევადიანი უპროცენტო სესხი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის გარდამავალი ნაშთი 5800 ლარს შეადგენდა.

6. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

6.1. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

6.2. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

6.3. ამონაგები

საანგარიშგებო პერიოდში მიღებული ამონაგები ასახულია ქვემოთ ცხრილში:

	2019 წ	2018 წ
ამონაგები რეალიზაციიდან	2828705,89	2324488,99
დაბრუნება და ფასდათმობა	0,00	-1491,53
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	0,00	0,00
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0,00	0,00
სხვა	0,00	0,00
ჯამი	2828705,89	2322997,46

როგორც ზემოთ აღინიშნა და ამ მონაცემებიდანაც ჩანს, საანგარიშგებო პერიოდში ამონაგები რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა.

6.4. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

6.4.1. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აღიარებულია შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ხოლო, ჩამოწრა ხორციელდება „საშუალო შეწონილი“ ღირებულებით. ამასთან, ნედლეული და მასალები ჩამოიწერება დაუმთავრებელ წარმოებაზე ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

წინა ანგარიშგებისაგან განსხვავებით, ვინაიდან ანგარიშგების დამტკიცებული ფორმა ითვალისწინებს თვითღირებულების გამოთვლას მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგების ცვლილებისა და გაზარჯული (გამოყენებული) მასალებისა და ნედლეულის მუხლებში შეტანილი მონაცემებით, თვითღირებულება გამოთვლილია შესაბამისი დანახარჯების მიხედვით:

ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგებში (შემცირება „-“)

	2019 წ	2018 წ
საწყისი მარაგები		
მზა პროდუქცია	(41947)	(104130)
დაუმთავრებელი წარმოება და ნ/ფაბრიკატები	-	-
საქონელი	(1957)	(2199)
ნედლეული და მასალები ლეიბების	(604661)	(383566)
ნედლეული და მასალები სამეულების	(121885)	(97501)
ნედლეული და მასალები კარკასების და სხვა	(50888)	(36623)
ნედლეული და მასალები ლამინატის ავეჯის	-	-
დამხმარე მასალები	-	-
სათადარიგო ნაწილები	-	-
სხვა სასაქონლო-მატერ. მარაგები	(113)	(15)
სულ საწყისი მარაგები	(821450)	(624034)
მარაგების შესყიდვა		
საქონელი	-	(8328)
ნედლეული და მასალები ლეიბების	(2099167)	(2144607)
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	(2752)	(2360)
სულ შესყიდული მარაგები	(2 101 920)	(2 155 295)

გადამუშავების ხარჯი		
პირდაპირი ხელფასი	(65562)	(52025)
დამხმარე მასალების ხარჯი	(184)	(56)
რემონტის ხარჯი	(185)	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	(60460)	(61510)
სულ გადამუშავების ხარჯები	(126391)	(113591)
საბოლოო მარაგები		
მზა პროდუქცია	51975	41947
დაუმთავრებელი წარმოება და ნ/ფაბრიკატები	55487	0,00
საქონელი	1957	1957
ნედლეული და მასალები ღებების	282271	604661
ნედლეული და მასალები სამეულების	86930	121885
ნედლეული და მასალები კარკასების და სხვა	35498	50888
ნედლეული და მასალები ღამინაწის ავეჯის	2894	0,00
დამხმარე მასალები	-	-
სათადარიგო ნაწილები	-	-
სხვა სასაქონლო-მატერ. მარაგები	(949)	(113)
სულ საბოლოო მარაგები	(517961)	(821450)
თ/ღირ-ბის კორექტ. მარაგების განადგურების გამო	(7325)	-
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირ-ბა	(2524475)	(2071470)

6.5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

6.5.1 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურება საწარმოო პერსონალის, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის აღირიცხება დიფერენცირებულად. ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოო პერსონალის ანაზღაურება ასახულია თვითღირებულების მუხლში, დანარჩენი პერსონალისა გამიჯნულად ასახულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში:

	2019 წ	2018 წ
დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურება	(19585)	(22150)

6.5.2 ცვეთა და ამორტიზაცია

სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით:

	2019 წ	2018 წ
ცვეთა და ამორტიზაცია	(22197)	(18481)
არამატერიალური აქტივების ცვეთა	(536)	(20)
ჯამი	(22733)	(18501)

უნდა აღინიშნოს, რომ 2015-2017 წლებში არამატერიალურ აქტივზე (კომპიუტერულ პროგრამა „ორის-ბუღალტერია“ დარიცხული არ ყოფილა. საანგარიშგებო პერიოდში გადანგარიშებული იქნა წინა პერიოდის ცვეთა და მიეკუთვნა წინა პერიოდის ზარალს (შემცირდა წინა პერიოდის წმინდა მოგება).

6.5.3. საგადასახდო ხარჯებში შეტანილია მხოლოდ ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის შესახებ ინფორმაცია. სხვა საგადასახდო ვალდებულებები, რომლებიც ფინანსურ შედეგებში არ აისახება საწარმოს არ გააჩნდა.

6.5.4. იჯარის ხარჯი:

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს მიერ ფინანსური იჯარით ჰქონდა აღებული საწარმოო და სავაჭრო ფართები. იჯარით აღებული აქტივები მსს ფასს-ის მე-20 განყოფილებით გათვალისწინებული კრიტერიუმებით ფინანსურ იჯარად არ კლასიფიცირდება და წარმოადგენს ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარას. მსს ფასს-ის შესაბამისად საოპერაციო იჯარის ხარჯი მიკუთვნებულია საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებზე:

	2019 წ	2018 წ
გადახდილი საოპერაციო იჯარის ქირა	(91649)	(79429)

6.5.5. ადმინისტრაციული და საერთო ხარჯები

ფინანსური ანგარიშგების ამ მუხლში ასახულია ყველა საოპერაციო ხარჯი, რომელიც შეტანილი არ არის ზემოთ მოყვანილ მუხლებში.

	2019 წ	2018 წ
რეკლამის ხარჯი	(349)	-
საბანკო მომსახურების ხარჯი	(7447)	(10598)
კონვერსიის ხარჯი	(109)	(3)
კომუნალური ხარჯები	(5865)	(482)
კომუნიკაციის ხარჯები	(106)	(224)
დაზღვევის ხარჯი	(1265)	(1212)
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაცია და რემ.	-	-
კომპიუტერის ხარჯები	(15)	-
საკონსულტაციო ხარჯი	(51)	-
საგადასახდო ხარჯები	(877)	(687)
საკანცელარიო ხარჯი	-	(176)
სხვა საერთო ხარჯები	-	(153)
ჯამი	(16085)	(13533)

6.6. აქტივების გაუფასურება:

6.6.1. საანგარიშგებო პერიოდში სტიქიური მოვლენის შედეგად ადგილი ჰქონდა საწარმოო საამქროს დატბორვას. როგორც ზემოთ აღინიშნა დაზიანდა და უვარგისი გახდა ცალკეული სახეობის მასალები. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის აქტის საფუძველზე ნაწილობრივ იქნა ანაზღაურებული ზარალი. სხვაობა გაუფასურებულ მარაგების ღირებულებასა და დაზღვევის კომპენსაციას შორის, თანხით 6400 ლარი აისახა დაუფასურებისაგან გამოწვეულ ზარალში.

6.6.2. მსს ფასს-27-ე განყოფილების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საწარმო გაანალიზა სხვა აქტივების შესაძლო გაუფასურება, რომელთა საბაღიანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას..

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივებისა და ძირითადი საშუალებების გაუფასურება არ დაფიქსირებულა.

6.7. დამატებითი განმარტებები საქმიანობის შედეგების შესახებ:

6.7.1. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი:

ქვემოთ მოცემულია საკურსოსხვაობები, რომელიც წარმოიშვა მიმდინარე პერიოდში ფულადი მუხლების გადაფასების (წლის ბოლოს არსებული კურსის შესაბამისად) დროს. შესაბამისად, მსს ფასს-ის 30.10 განყოფილების მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული თანხები აკუმულირდა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში,

სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი		
	2019 წ	2018 წ
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	(4123)	(1288)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(3662)	(5188)
ჯამი	(461)	(3900)

6.7.2. წმინდა არასაოპერაციო შემოსავლები

წმინდა საოპერაციო შემოსავლებში შეტანილია ყველა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც მოცემული არ არის სხვა მუხლებში:

	2019 წ	2018 წ
არასაოპერაციო მოგება	-	-
არასაოპერაციო ზარალი	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	(4)
ჯარიმა საურავები	(310)	(782)
განსაკუთრებული ხარჯები	0,00	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(13)	-
ჯამი	(297)	(786)

6.7. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით (ე.წ. „ესტონური მოდელით“). დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

მსს ფასს შესაბამისად დასაბეგრი და ფინანსური მოგების სხვაობის შედეგი აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით. ვინაიდან ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობით მოგების გადასახადის ბაზას არ წარმოადგენს მიღებული მოგება, ხოლო ფინანსურ მოგების გადასახადთან სხვაობის აღრიცხვის წესი განსახილველი შემთხვევისათვის რაიმე ინსტრუქციით ან სხვა სარეკომენდაციო ხასიათის მეთოდური მითითებით რეგლამენტირებული არ არის, საწარმომ მიზანშეწონილად მიიჩნია ფინანსური შედეგები (საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი) შეამციროს მხოლოდ საანგარიშგებო წელს დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადით, ხოლო დარჩენილი თანხა გადაიტანოს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე.

7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

7.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში გამოიყენება ასახული ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან;

7.2. ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია ამონაგები პროდუქციისა და მარაგების რეალიზაციიდან, მომსახურების გაწევიდან.

7.3. საოპერაციო საქმიანობიდან ფულად ნაკადებში გათვალისწინებული არ არის ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან და დანახარჯები ძირითადი აქტივების შეძენასა და მონტაჟზე;

7.4. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებში შეტანილია საგადასახადო ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული გადახდები;

7.5. დანახარჯები ძირითად აქტივების შესყიდვასა და მონტაჟზე საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიკუთვნებულია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე;

8. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

8.1. 2018 წელს საწარმოს კაპიტალში პარტნიორის მიერ განხორციელდა დამატებითი შენატანი თანხით 185500 ლარი და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის 928 410 (ცხრაას ოცდარვა ათას ოთხასი) ლარს შეადგენდა.

8.2. 2019 წელს პარტნიორის მიერ კაპიტალიდან გატანილი იქნა 250000 ლარი. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა მოგებამ 144 727 ლარი შეადგინა. შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენდა 1 029 135 ლარს.

9. დასკვნითი ნაწილი

9.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2020 წლის 20 სექტემბერს;

9.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

10.1. კორონავირუსის პანდემიის შესაძლო გავლენა

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მგრამ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასდა მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს.

2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა.

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება, რის გამოც შეჩერდა საწარმოების საქმიანობა, მათ შორის შპს „როიალის“ საქმიანობაც. მუშაობის განახლების შესახებ საწარმომ ნებართვა მიიღო და საქმიანობა განაახლა 2020 წლის ივნისიდან..

პანდემიამ ცხადია უარყოფითად იმოქმედა შპს „როიალის“ საქმიანობაზე. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა საწარმოს ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია. თუმცა მიახლოებითი გაანგარიშებით მინიმალურმა ზარალმა შეადგინა:

– 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მიხედვით წარმოებული გათვლით საწარმომ ვერ მიიღო 465500 ლარის შემოსავალი, თუმცა დაგეგმილი იყო 10%-იანი ზრდა

– აღნიშნულ პერიოდში, მეიჯარეების მიერ გაწეული გარკვეული შეღავათების მიუხედავად ფუჭად იქნა გადახდილი 9000 ლარზე მეტი;

– კოვიდ-უსაფრთხოების დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე გაიხარჯა 600 ლარი;

გარდა პირდაპირი ზარალისა ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა გააძვირა გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის ღირებულება. საწარმო ყოველწლიურად მოიხმარს 200000 აშშ დოლარის იმპორტულ პროდუქციას, რომლის ანალოგიც ქვეყნის

შიგნით არ იწარმოება. აქედან გამომდინარე დამატებით მოსალოდნელია 30000 ლარამდე ზარალი.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა საწარმო ატარებს ღონისძიებებს ეკონომიკური სიძნელეებიდან თავის დასაღწევად და საწარმოს ფუნქციონირებას პარტნიორი და ხელმძღვანელობა ეჭვქვეშ არ აყენებს.

კომპანიის დირექტორი

ვალერი სოფრომაძე

შპს „როიალის“ (სნ 400151919)
2019

მმართველობითი
ანგარიში

ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „როიალი“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2015 წლის 31 აგვისტოს, რეგისტრაციის №B 16087428.

შპს „როიალი“ წარმოადგენს ერთი პირის საწარმოს, რომლის 100% წილის მფლობელია დავით სოფრომაძე.

1.2. საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ორთოპედიული და სხვა სახის ლეიბების წარმოება;
- რბილი ავეჯის წარმოება;
- ლამინატის ავეჯის წარმოება;
- საწოლების კარკასისა და სხვა ატრიბუტების წარმოება.
- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

1.3. საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება;

1.4. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

- საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები;

1.5. საწარმოს სტრუქტურა:

– საწარმოს გააჩნია ლეიბების, რბილი ავეჯისა და ლითონების კარკასების საწარმოო უბნები;

- საფირმო მაღაზია.

2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:

2.1. კომპანიის პროდუქცია ძირითადად იყიდება ქ. თბილისში, საფირმო მაღაზიის მეშვეობით;

2.2. საწარმო საქართველოს კომპანიებისაგან ასევე იღებს შეკვეთებს ზემოთ აღნიშნულ პროდუქციაზე;

ლეიბებისა და რბილი ავეჯის წარმოებისა და რეალიზაციის ბიზნესის ბაზარზე დიდი კონკურენციაა, თუმცა, პროდუქციის მაღალი ხარისხისა და წარმოებიაქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე საწარმო წარმატებით უმკლავდება კონკურენციას.

2.3 ზემოთ აღნიშნული მიზეზების შედეგად მაღალია მარკენტივული რისკები, რომელთა თავიდანაღილების მიზნით საწარმო მარკენტივის, ეკონომიკური და ანალიზის სამსახურები

სისტემატურად აანალიზებენ ქვეყნის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, მუშავდება რეკომენდაციები საწარმოს საქმიანობის ცალკეული სფეროს ნაწილობრივ შეზღუდვის ან გაფართოების, საქმიანობის შეჩერების ან ახალი მიმართულებების დანერგვის შესახებ.

2.4 საწარმოს მიაჩნია, რომ ბიზნესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სწორად განსაზღვროს ბაზარზე თავისი ადგილი „ნიშა“, რომელიც ნაკლებად ან არასაკმარისადაა გამოყენებული კონკურენტების მიერ.

2.5 საწარმომ საქართველოს ბაზარზე გააფართოვა ექსკლუზიური მიწოდება. ასევე ხორციელდება სხვა ღონისძიებები ეკონომიკური რისკების თავიდან აცილების მიზნით.

2.6 მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, საწარმო გეგმავს მსოფლიო ბაზარზე არსებული მდგომარეობის ღრმად შესწავლას, მოთხოვნადი და თანამედროვე პროდუქციის მოძიების მიზნით და მათი საქართველოს ბაზარზე შემოტანის შესაძლებლობის მოკვლევას;

2.7 მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების მწარმოებელი ორგანიზაციების პარტნიორების როდენობის ზრდა. რაც ყოველ წლიურ მიზნებში ისახება და ხარცოიელდება ეტაპობრივად.

2.8 საპროგნოზო ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა სამუშაო ჯგუფის მიერ წარედგინება დირექტორს და მხოლოდ ამის შემდეგ მტკიცდება დამფუძნებელთა კრებაზე.

2.9 სამუშაო ჯგუფში შედიან ფინანსისტები და კომერციული მიმართულებების წარმომადგენლები.

3. პროდუქციის ხარისხი:

3.1 კომპანია მუშაობს მხოლოდ სტაბილურ და ხარისხიან პროდუქცუაზე.

3.2 კომპანიას მართავს დირექტორი სადაც წყდება მნიშვნელოვანი და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება.

3.3 დირექტორი ანგარიშ ვალდებულია დამფუძნებელთა კრების მიმართ.

3.4 კომპანიაში შემუშავებულია ფინანსური ინსტრუმენტები და მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ფინანსური რისკების შემცირებას.

3.5 შუა რგოლის მენეჯერები პასუხისმგებლები არიან შესაბამისი მიმართულებების გაყიდვების დასახული გეგმის შესრულებაზე, განვითარების მომავალი წლების სტრატეგიის შემუშავებაზე და დირექტორთა საბჭოზე საკითხის გატანაზე. ასევე პასუხისმგებლები არიან ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობის კონტროლზე.

4. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების
მდგომარეობა:

4.1 ექსპედიტორები უზრუნველყოფილნი არიან სეზონის შესაბამისი სპეცტანსაცმლით;

4.2 შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო არამარტო საწარმოო პერსონალის, არამედ ინჟინერ-ტექნიკური და ეკონომიკური პერსონალისთვისაც.

4.3 საზოგადოება სრულად ადაპტირებულია შრომის უსაფრთხოების კანონით მოთხოვნილ ნორმებთან, მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი მონიტორინგი

კომპანიის დირექტორი

ვალერი სოფრომაძე

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია
2020 წლის 20 სექტემბერი: